



ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს-ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევავაშთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ სპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

## იცოდით, რომ

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება „სენიორ ექსპერტთა სერვისი“-ს (SES) ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში?

SES არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც გერმანულ ექსპერტებს აგზავნის კომპანიებში კონსულტირებისა და **თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების** მიზნით.

ექსპერტები **უსასყიდლოდ ატარებენ ტრენინგებს** მცირე და საშუალო საწარმოებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, ბიზნეს ასოციაციებსა და მომსახურების სექტორებში.

დაახლოებით 12.500 **მრავალწლიანი სტაჟის მქონე კვალიფიციური ექსპერტი**, რომელთაც უკვე დაასრულეს თავიანთი სამსახურეობრივი მოღვაწეობა და აგრძელებენ მოხალისეობრივ საქმიანობას SES პროექტის ფარგლებში, მზად არის, მომსახურება გაგინიოთ **50 სახის საქმიანობის სფეროში**.

დამატებითი ინფორმაციისთვის და ექსპერტის მონვევის მიზნით დაუკავშირდით მარია ბრეგაძეს ელ-ფოსტაზე: [maria.bregadze@dwv.ge](mailto:maria.bregadze@dwv.ge)

## ახალი წევრები



Wonderful Georgia Travel წარმოადგენს განსაკუთრებულ ევროპულ-ქართულ ტურისტულ სააგენტოს, რომელიც გამოირჩევა ინდივიდუალური და ჯგუფური ტურების ორგანიზების სფეროში მრავალწლიანი გამოცდილებითა და ლიდერული პოზიციებით საქართველოში.

[Wonderful Georgia Travel](#) სპეციალიზებულია პერსონალიზებული მარშრუტების დიზაინსა და ორგანიზებაში, რომლებიც სრულად ითვალისწინებს კლიენტების მრავალმხრივ ინტერესებსა და ინდივიდუალურ მოთხოვნებს.

კლასიკური ტურების გარდა, კომპანია გამოირჩევა MICE (შეხვედრები, ინიციატივები, კონფერენციები და ღონისძიებები) ტურების ორგანიზებით, რაშიც ის ფლობს 15 წლიან გამოცდილებას. სტუმრების სპეციფიკური მოთხოვნების გარდა, კომპანია უზრუნველყოფს ღონისძიების უნაკლო შესრულებას, დეტალური დაგეგმვისა და ლოგისტიკური ზედამხედველობის ჩათვლით.



[UN Global Compact](#) არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს მდგრად და პასუხისმგებელ კორპორაციულ მმართველობას და მხარს უჭერს 20,000-ზე მეტ კომპანიას 160-ზე მეტი ქვეყნიდან, თავიანთი სტრატეგიები და აქტივობები მოარგონ ადამიანისა და შრომის უფლებების, გარემოს დაცვისა და ანტიკორუფციულ პრინციპებს. ორგანიზაციის მიზანია, კომპანიებმა აქტიური წვლილი შეიტანონ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევაში.

UN Global Compact, თავისი უნიკალური პოზიციით და გაეროს 193 წევრი ქვეყნის მხარდაჭერით, ქმნის გლობალურ ქსელს, რომელიც კომპანიებს ეხმარება, იმოქმედონ პასუხისმგებლობით და მომავალზე ორიენტირებულად.

გახდით გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წევრი

## გამოფენები გერმანიაში



5-7 თებერვალი 2025, ბერლინი

### Fruit Logistica

ხილისა და ბოსტნეულის სფეროში მსოფლიოს წამყვან გამოფენაზე მეტის გასაგებად გადაადით [ამ ბმულზე](#).

9-10 მარტი 2025, კარლსრუე

## EUROVINO

DWV-ს შუამავლობით ქართული ღვინოები ახალ საერთაშორისო გამოფენაზე მოხვდება. გაიგეთ [მეტად](#).



6-8 მაისი 2025, კარლსრუე

## LEARNTEC

დიגיტალური სწავლების ყველაზე დიდი გამოფენა ევროპაში. გაიგეთ მეტი [ამ ბმულზე](#).

## დაგეგმილი ღონისძიებები

13 ნოემბერი 2024 | Radisson Blu Iveria, ვარდების მოედანი 1

[DWV-Expert Talk](#): კიბერუსაფრთხოება > [რეგისტრაცია](#) 11.11.2024-[მდე](#)

19 ნოემბერი 2024 | Aptos-ის ოფისი, გივი ამილახვარის ქ. 15.

[წევრები მასპინძლობენ წევრებს - APTOS](#) > [რეგისტრაცია](#) 17.11.2024-[მდე](#)

20 ნოემბერი 2024 | Tbilisi Saburtalo Hotel by Mercure, ალ. ყაზბეგის გამზ. № 15.

[DWV-Get Together](#)

26 ნოემბერი 2024 | ონლაინ > [რეგისტრაცია](#) IHK Frankfurt-ის [ვებგვერდზე](#)

[ვებინარი: საქართველო, როგორც სამიზნე ქვეყანა ჰესენის მიწის კომპანიებისთვის](#)

## ჩატარებული ღონისძიებები

2024 წლის ოქტომბერში DWV-მ ჩაატარა:

- **სემინარი** თემაზე: როგორ ვიპოვოთ საკუთარი კონკურენტული უპირატესობა ბიზნესში და გავხდეთ გამორჩეული
- **ბიზნეს ფორუმი** თემაზე: საქართველო გარდამტეხ ეტაპზე?
- ტრადიციული Get Together სასტუმროში Golden Tulip Design Tbilisi
- Expert Talk თემაზე: ცენტრალური აზიის ეკონომიკური განვითარება და ბიზნეს შესაძლებლობები. ფოკუსი – ყაზახეთსა და უზბეკეთზე.



## წევრების სიახლეები

**გრანტ თორნტონ საქართველო** მომხმარებელს განახლებულ ინოვაციურ და მრავალფეროვან სერვისების პაკეტს სთავაზობს.

Gebrüder Weiss-მა თბილისში, 4 ოქტომბერს, არსებული ლოგისტიკური ცენტრის ახალი ტერმინალი გახსნა. ეს არის 2012 წელს დაფუძნებული ლოგისტიკური ცენტრის რიგით მესამე გაფართოება.

Humana-ს მხარდაჭერითა და სპონსორობით, 2024 წლის 26 და 27 სექტემბერს თბილისში საერთაშორისო სამედიცინო კონფერენცია გაიმართა თემაზე: „ახალშობილთა ნეიროქირურგია და ნეონატალური ზრდა“.

CENN-ის და Hilton Garden Inn Tbilisi Riverview-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში: „შევამცირეთ პლასტმასით დაბინძურება“, სასტუმრომ მოხმარებიდან სრულიად ამოიღო პლასტიკის წყლის ბოთლები და სასტუმროს სივრცეებში განთავსდა „ტენე“-ს კონტეინერი პლასტმასის ნარჩენების შესაგროვებლად.

Pullman Tbilisi Axis Towers-მა, World Luxury Hotel Awards 2024-ზე სამ პრესტიჟულ კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვა.

Phage Therapie Georgia პაციენტებს სთავაზობს ალტერნატიულ თერაპიას მრავალრეზისტენტული ინფექციების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს თერაპია მათთვისაა, ვისაც ანტიბიოტიკები ვერ ეხმარება.

[ყველა სიახლეს გაეცნობით აქ](#)

## ეკონომიკის სიახლეები

საერთაშორისო ტურისტების რიცხვი საქართველოში 2024 წელს საგრძნობლად გაიზარდა. პირველი ცხრა თვის განმავლობაში ქვეყანას 5.79 მილიონი მოგზაური ესტუმრა, რაც 2023 წელთან შედარებით 4.1%-იან ზრდას ნიშნავს. საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტები წლიურად 5.9%-ით გაიზარდა. გერმანია ლიდერობს 62,804 ვიზიტორით და 15.6%-იანი წლიური ზრდით.

2025 წლის 12 აპრილიდანშვეიცარიული ავიაკომპანია Edelweiss ციურიხსა და თბილისს შორის პირდაპირ რეგულარულ რეისებს დაიწებს. ავიაკომპანია ფრენებს კვირაში 2 სიხშირით შეასრულებს.

[ყველა სიახლეს გაეცნობით აქ](#)

## შეთავაზებები ჩვენი

# მკითხველებისთვის

Biltmore Hotel Tbilisi-ის ლობი ბარ ლაუნჯში ყოველდღიურად დაგხვდებათ ტრადიციული ბრიტანული შუადღის ჩაის მენიუ.

მიირთვით ახლად გამომცხვარი სკონები, გემრიელი მინი სენდვიჩები და დესერტები, ცქრიალა ღვინო Rosé და არომატული ჩაის შესანიშნავი არჩევანი.



Deutsche Wirtschaftvereinigung

Rustaveli Ave. 24, 0108 Tbilisi

Tel.: +995 32 220 57 67

E-Mail: [info@dwv.ge](mailto:info@dwv.ge)

[www.dwv.ge](http://www.dwv.ge)

Falls Sie zukünftig keine weiteren E-Mails von uns erhalten möchten, klicken Sie bitte unten

[Abmelden](#)

